FOR THE ISSUE OF GENESIS OF THE TRAGEDY "CINNA" BY PIERRE CORNEILLE

პიერ კორნელის ტრაგედია „ცინას" გენეზისის საკითხისათვის

Tamar Antia
Doctor of Philology
Kutaisi, Bukia street 13/11, 4600, Georgia,
+995592128378, tamarantia@gmail.com
https://orcid.org/0009-0007-7349-8312

Abstract. The article discusses the issue of the genesis of one of Pierre Corneille's "Roman Tragedies" "Cinna", which is closely related to the tragic events that occurred in Corneile's native region, Normandy, namely in the city of Rouen in 1639 - 1640.

In 17th century France, while absolutism reached its highest point representatives of the lower classes still lived in extreme poverty. Anti-government demonstrations were observed in different parts and cities of France, including Corneille's native Normandy. The Normans could no longer bear the burden of taxes. Social discontent was accompanied by religious conflicts. Dissatisfied with their social situation, the Norman peasants went into the forest and created an army, which they pathetically called "Armée de la Souffrance"- "Army of Suffering".

Connection P. Corneille's tragedy to the events in Rouen attracted the attention of Corneille's researchers from the beginning. Édouard Fournier was the first to include in his study- "Notes on the Life of Corneille" ("Notes sur la vie de Corneille"), which precedes his play "Corneille at the Saint-Roch hill" ("Corneille à la butte Saint-Roch"), he focused on the connection between the story of "Cinna" and the news that happened in Rouen in 1639.

The study of the genesis of "Cinna" shows that P. Corneille's goal was to praise Cardinal Richelieu. We note that Pierre Corneille did not choose mercy as the main theme of "Cinna" by chance. The Mercy of Augustus refers to an episode in Richelieu's life that was well known in Corneille's time, and it is impossible that the dramatist was not aware of it. The episode deals with a conspiracy known as the "Women's Conspiracy". When Cardinal Richelieu learned about the conspiracy, he pardoned the members of the conspiracy as in "Cinna" Emperor Augustus pardoned those who plotted against him.

The study of the historical and typological connections P. Corneille's "Cinna" clarifies "Cinna" is not only a product of historical interest and abstract thinking but the heroes of "Cinna" are imbued with the spirit of the reality of Pierre Corneille's era. They think and act according to the political and social situation of 17th century France.

Key words: Pierre Corneille, Cinna, genesis, French classicist tragedy.

თამარ ანთია
ფილოლოგიის დოქტორი,
ქ. ქუთაისი, ბუკიას ქუჩა 13/11, 4600, საქართველო,
+995592128378, tamarantia@gmail.com
https://orcid.org/0009-0007-7349-8312

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია პიერ კორნელის ერთ-ერთი ,,რომაული ტრაგედიის'' – ,,ცინას'' გენეზისის, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პ. კორნელის მშობლიურ მხარეში, ნორმანდიაში, კერძოდ ქალაქ რუანში 1639 -1640 წლებში მომხდარ ტრაგიკულ ამბებთან.

XVII საუკუნის საფრანგეთში, აბსოლუტიზმის აღმავლობის სიმძიმე საფრანგეთის დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს დააწვა კისერზე. საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეებსა თუ ქალაქებში, მათ შორის პ. კორნელის მშობლიურ ნორმანდიაში შეიმჩნეოდა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები. ნორმანდიის მოსახლეობა უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობდა. ნორმანდიელები ვეღარ უძლებდნენ გადასახადების სიმძიმეს. სოციალურ უკმაყოფილებას თან ერთვოდა რელიგიური შუღლი. სოციალური მდგომარეობით უკმაყოფილო ნორმანდიელი გლეხები ტყეში გაიხიზნენ და შექმნეს ჯარი, რომელსაც პათეტიკური სახელი -,,Armée de la Souffrance'' - ,,ტანჯულთა არმია'' უწოდეს. ,,ტანჯულთა არმიის'' წარმომადგენლები შეუპოვრად იბრძოდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

პ. კორნელის ტრაგედიის კავშირმა რუანში მომხდარ მოვლენებთან კორნელის მკვლევართა ყურადღება თავიდანვე მიიპყრო. პირველად ედუარდ ფურნიემ თავის კვლევაში - „შენიშვნები კორნელის ცხოვრების შესახებ“ (,,Notes sur la vie de Corneille''), რომელიც წინ უძღვის მისსავე პიესას ,,კორნელი სენ როშის ბორცვზე (''Corneille à la butte Saint-Roch''), ყურადღება გაამახვილა ,,ცინას'' სიუჟეტის კავშირზე 1639 წელს რუანში მომხდარ ამბებთან.

,,ცინას'' გენეზისის კვლევა გვიჩვენებს, რომ პ. კორნელის მიზანი კარდინალისთვის ხოტბის შესხმა გახლდათ. აღსანიშნავია, რომ პიერ კორნელმა, გულმოწყალება შემთხვევით როდი აიღო ,,ცინას'' მთავარ თემად. ავგუსტუსის გულმოწყალება მიუთითებს რიშელიეს ცხოვრების ერთერთ ეპიზოდზე , რომელიც კარგად იყო ცნობილი კორნელის ეპოქაში და შეუძლებელია დრამატურგს ამის შესახებ არ სცოდნოდა. ეპიზოდი ეხება კარდინალ რიშელიეს წინააღმდეგ დაგეგმილ შეთქმულებას, რომელიც ცნობილია ,,ქალთა შეთქმულების'' სახელწოდებით. როცა კარდინალმა რიშელიემ შეთქმულების შესახებ შეიტყო, შეთქმულების წევრები შეიწყალა ისე, როგორც ,,ცინაში'' იმპერატორმა ავგუსტუსმა შეიწყალა მის წინააღმდეგ შეთქმულნი.

საკვანძო სიტყვები: პიერ კორნელი, ცინა, გენეზისი, ფრანგული კლასიცისტური ტრაგედია.

შესავალი. პიერ კორნელის ტრაგედია ,,ცინას'' გენეზისი მჭიდროდ უკავშირდება კორნელის

მშობლიურ მხარეში, ნორმანდიაში, კერძოდ ქალაქ რუანში 1639-1640 წლებში მომხდარ ტრაგიკულ ისტორიულ ამბებს. XVII საუკუნის საფრანგეთში, ერთი მხრივ, აყვავებას განიცდიდა მეფის აბსოლუტური ხელისუფლება და საზოგადოების უმაღლესი ფენა განცხრომით ცხოვრობდა, მეორე მხრივ, აბსოლუტიზმის აღმავლობის სიმძიმე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს დააწვა კისერზე. საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეებსა თუ ქალაქებში, მათ შორის კორნელის მშობლიურ ნორმანდიაში,

უკვე შეიმჩნეოდა წინააღმდეგობები ხელისუფლების მიმართ. ნორმანდიის მოსახლეობა უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობდა. ნორმანდიელები ვეღარ უძლებდნენ გადასახადების სიმძიმეს. სოციალურ უკმაყოფილებას თან ერთვოდა რელიგიური შუღლი. სოციალური მდგომარეობით უკმაყოფილო ნორმანდიელი გლეხები ტყეში გაიხიზნენ და შექმნეს ჯარი, რომელსაც პათეტიკური სახელი -,,Armée de la Souffrance'' - ,,ტანჯულთა არმია'' უწოდეს. მათი საიდუმლო ხელმძღვანელი იყო Jean-Nu-Pieds- ,,ფეხშიშველი ჟანი''. 1639 წელს, როდესაც სახელმწიფომ ახალი გადასახადები დააწესა, ფრანგი ხალხი წინ აღუდგა კარდინალ რიშელიეს და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს. ნორმანდიაში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. (Floquet, 2012: 158). აჯანყებულებმა დაანგრიეს მეფის კომისართა სასახლე, მოკლეს რამდენიმე გადასახადის ამკრეფი. ,,ტანჯულთა არმია'' მთელ ქვეყანას ძარცვავდა და წვავდა. თანამედროვეთა მემუარები მთელი სიცხადით ასახავენ ნორმანდიის სავალალო სურათს:

,,ეს იყო საშინელება, ყველგან უბედურება, შიმშილი და სიღარიბე სუფევდა. გლეხები სახლებს ტოვებდნენ და ტყეში იხიზნებოდნენ. ისინი მეფის ნებას აღარ ემორჩილებოდნენ'' (Floquet, 2012: 490).

ნორმანდიის პარლამენტი ამაოდ ცდილობდა აჯანყების შეჩერებას. მალე ნორმანდიის ქუჩები ბარიკადებით აივსო. იბრძოდნენ მანამ, სანამ გადასახადების ამკრეფები არ გააქციეს. რიშელიემ გააცნობიერა ნორმანდიაში არსებული ვითარების სერიოზულობა და აჯანყებულების წინააღმდეგ ძლიერი არმია გაგზავნა, რომელსაც კანცლერი სეგიერი ხელმძღვანელობდა. 1639 წლის დეკემბრის ბოლოს სეგიერმა რუანს მიაღწია. არქიეპისკოპოსი ფრანსუა დე ჰარლეი სეგიერს ქალაქის კარიბჭესთან დახვდა ნორმანდიელთა შეწყალების თხოვნით, მაგრამ კანცლერმა უპასუხა, რომ ის რუანში ,,მეფის ბრძანებების შესასრულებლად" გამოგზავნეს. ამის შემდეგ არქიეპისკოპოსმა კარდინალ რიშელიეს მისწერა, რომ შეეწყალებინა ნორმანდიის მოსახლეობა და ნება მიეცა, მისთვის, როგორც სასულიერო პირისთვის, თავი გაეწირა თავისი სამწყსოსა და მეფისათვის. (Pommier, 1842: 198).

1639 წლის დეკემბრის ბოლოს სეგიერის მეთაურობით მეფის ჯარები რუანში შევიდნენ. სეგიერს კვლავ ეწვია რამდენიმე ადამიანისაგან შემდგარი დელეგაცია, რომლებმაც რუანელთა შეწყალება ითხოვეს, მაგრამ სეგიერის პასუხი შეუვალი იყო. მეფეს სურდა დაესაჯა თავისი მოწინააღმდეგეები. მართლაც, რუანელები მთელი სიმკაცრით დასაჯეს. აჯანყებულთა ხელშეწყობაში დაადანაშაულეს საჯარო ორგანოები, სასამართლოები, საკრებულო და თავად პარლამენტი. ბურგომისტერი, გოდარ დიუ ბეკეტი, თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ქალაქის პრივილეგიები გააუქმეს, მერია დახურეს, ქალაქის ხელისუფლებას უფლებამოსილება შეუჩერეს და პარიზში გადაიყვანეს, ხოლო მათი საქმე განსახილველად უზენაეს სასამართლოს გადასცეს. რუანის ასობით აჯანყებული მოსახლე, თავიანთი მღვდლების ხელმძღვანელობით სეგიერის წინაშე დააჩოქეს პატიების სათხოვნელად. აჯანყების ხუთი ლიდერი ყოველგვარი სასამართლო პროცესის გარეშე სიკვდილით დასაჯეს, ყველა ეჭვმიტანილი დააპატიმრეს. სახელმწიფო მრჩევლები სამი კვირის განმავლობაში აჯანყებულთა სასამართლო პროცესებზე განუწყვეტლივ მუშაობდნენ. აჯანყებულთაგან ზოგს სიკვდილი მიუსაჯეს, ზოგი გალერეებში გააძევეს, ზოგი კი ქალაქიდან განდევნეს. ქალაქ რუანს დააკისრეს ჯარიმის გადახდა მილიონ ოთხმოცდათხუთმეტი ათასი ლივრის ოდენობით.

1640 წლის 11 თებერვალს, კარდინალ რიშელიეს ბრძანებით, სეგიერმა და მისმა ჯარებმა დატოვეს რუანი. 1640 წლის მაისში ნორმანდიის პარლამენტის წევრებს მიეცათ უფლება დაბრუნებულიყვნენ თავიანთ აგარაკებში რუანის მახლობლად, თუმცა ქალაქში შესვლაზე უარი ეთქვათ. მას შემდეგ, რაც პ. კორნელის ,,ცინა'' იპირველად

დაიდგა სცენაზე (1641 წლის იანვარი), რუანის პარლამენტმა ნაწილობრივ აღადგინა ფუნქციონირება, ხოლო 1641 წლის 31 მარტს რუანში თვითმმართველობა აღდგა და ქალაქმა ყველა ადრინდელი პრივილეგია დაიბრუნა.

მეთოდები. სტატიაზე მუშაობისას მივმართეთ ისტორიულ-შედარებითი ანალიზის, კრიტიკულ-ანალიტიკურ და კომპარატივისტულ მეთოდებს, ასევე საკვლევ საკითხთან დაკავშირებით არსებულ სამეცნიერო ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურულ შრომებს.

შედეგები და მსჯელობა პ. კორნელის ტრაგედია -,,ცინას'' კავშირმა რუანში მომხდარ მოვლენებთან თავიდანვე მიიპყრო კორნელის მკვლევართა ყურადღება. პირველი ედუარდ ფურნიე იყო, ვინც თავის კვლევაში - „შენიშვნები კორნელის ცხოვრების შესახებ“ (,,Notes sur la vie de Corneille''), რომელიც წინ უძღვის მის პიესას ,,კორნელი სენ როშის ბორცვზე'' (,,Corneille à la butte Saint-Roch''), ყურადღება გაამახვილა ,,ცინას'' სიუჟეტის კავშირზე 1639 წელს რუანში მომხდარ ამბებთან. ე. ფურნიე აღნიშნავს, რომ პ. კორნელი ადვოკატის რანგში თავად იყო რუანის პარლამენტის წევრი და ისიც, ალბათ ისევე, როგორც მისი მეგობრები, დევნილთა სიაში იყო. ასე რომ, ,,ცინაში'' გამოხატული მჭევრმეტყველება ვედრებაა რიშელიეს მიმართ, მისი გულის მოსალბობად და მისი სისასტიკის დასაცხრობად.

,,ცხადია, რომ პ. კორნელს, უპირველეს ყოვლისა, დიდებული ტრაგედიის შექმნა სურდა, მაგრამ როდესაც სენეკასთან აღმოაჩინა გულმოწყალების შესანიშნავი მაგალითი, რომელიც ასე შეესაბამებოდა მისი მშობლიური მხარის იმდროინდელ მდგომარეობას, დრამატურგის თვალწინ გაცოცხლდა ძველი რომი, მთელი თავისი დიდებულებით'' (Fournier, 2018: 5).

მარტი-ლავო იზიარებს ედუარდ ფურნიეს აზრს, თუმცა დასძენს, რომ პ. კორნელის მიმართვას შეწყალების თაობაზე, არანაირი შედეგი არ მოჰყოლია (Marty-Laveaux, 1862 : 364).

ეჭვგარეშეა ის, რომ პ. კორნელი, აკრიტიკებდა რა რიშელიეს პოლიტიკურ სისასტიკეს, ამასთანავე ცდილობდა დაემსახურებინა ძლევამოსილი კარდინალის კეთილგანწყობა.

რიშელიეს საქციელი სულაც არ იყო ისეთი უმოწყალო, როგორც ზოგიერთ მისი თანამედროვე მიიჩნევდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პ. კორნელი, ვინც იმ პერიოდში გულმოდგინედ ცდილობდა შეენარჩუნებინა კარდინალის კეთილგანწყობა, ტრაგედია ერთგვარი პანეგირიკა იყო იმ დიდსულოვანი ქმედებისა, რომელიც კარდინალმა გამოიჩინა რუანის მმართველთა მიმართ. თუ დავუშვებთ, რომ პ. კორნელს სურდა ეჩვენებინა ავგუსტუსის გულმოწყალება რიშელიეს სიმკაცრესთან შედარებით, ,,ცინა'' შეიძლება კარდინალის პოლიტიკის კრიტიკად ჩაითვალოს, მაგრამ ტრაგედიაში ამგვარი ინტერპრეტაციისთვის ხელჩასაჭიდი არაფერი მოიპოვება. ავგუსტუსი, რომლის საქციელიც სიმბოლურად მიანიშნებს კარდინალ რიშელიეს გულმოწყალებას რუანელთა მიმართ, მოწყალე, დიდბუნებოვანი პერსონაჟია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ კორნელი ,,ცინაში'' ირიბად ადიდებს კარდინალის გულმოწყალებას.

,,ცინას'' გენეზისის კვლევა ნათელყოფს, რომ ,,ცინას'' მიზანი კარდინალისთვის ხოტბის შესხმა გახლდათ. აღსანიშნავია, რომ პიერ კორნელმა, გულმოწყალება შემთხვევით როდი აიღო ,,ცინას'' მთავარ თემად. ავგუსტუსის გულმოწყალება მიუთითებს რიშელიეს ცხოვრების ერთერთ ეპიზოდზე, რომელიც კარგად იყო ცნობილი კორნელის ეპოქაში და შეუძლებელია დრამატურგს ამის შესახებ არ სცოდნოდა. ეპიზოდი ეხება შეთქმულებას, რომელიც ცნობილია ,,ქალთა შეთქმულების'' სახელწოდებით.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ მეფე ლუი XIII და კარდინალი რიშელიე მხარს უჭერდნენ ტახტის მემკვიდრეს, ლუი XIII ძმის, გასტონ ორლეანელის ქორწინებას მონპანსიეს ჰერცოგინიაზე -მარი დე ბურბონზე, რადგან ანა ავსტრიელს იმ პერიოდში საფრანგეთის მეფესთან ჯერ კიდევ შვილი არ ჰყავდა. სხვადასხვა მიზეზის გამო, გასტონ ორლეანელის ქორწინების წინააღმდეგ ძლიერი კოალიცია შეიქმნა. კოალიციის მონაწილეთა უმეტესობას საკუთარი ამბიციები ჰქონდა, რომელთა განხორციელებასაც ისინი ცდილობდნენ მეფის ძმის ქორწინების ხელშეწყობით მათ მიერ არჩეულ ადამიანთან. შეთქმულების სულისჩამდგმელი იყო მადამ დე შევრეზე, რომელსაც ძლიერი გავლენა ჰქონდა ახალგაზრდა, ბრწყინვალე და ამბიციურ ანრი დე ტალეირანსა და ჰერცოგ შალეზე. შეთქმულები გაერთიანდნენ გასტონ ორლეანელისა და მონპანსიეს ჰერცოგინიას სავარაუდო ქორწინების წინააღმდეგ. შეთქმულების საქმეებს აბატი დე სკალია და მადამ დე შევრეზე განაგებდნენ. ესპანეთი, ინგლისი და ჰოლანდია მხარს უჭერდნენ რიშელიეს გავლენის შესუსტების ნებისმიერ მცდელობას და აჯანყების შემთხვევაში შეთქმულებს დახმარებას ჰპირდებოდნენ. შეთქმულები თავდაპირველად კარდინალ რიშელიეს მოკვლას გეგმავდნენ. იმასაც ამბობდნენ, რომ შეთქმულებს სურდათ მეფის ძმის, გასტონ ორლეანელის დაქორწინება ანა ავსტრიელზე, თუმცა XVII საუკუნის მემუარებში აღნიშნავენ, რომ ეს მოიგონა კარდინალმა რიშელიემ მეფის დაშინებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან შესაბამისი მოქმედების განხორციელების მიზნით. ანა ავსტრიელი არასოდეს დათანხმდებოდა გასტონ ორლეანელთან ქორწინებას (La Rochefoucauld, 2022: 339). როდესაც რიშელიემ შეთქმულთა გეგმების შესახებ შეიტყო, მან მეფისგან მიიღო თანხმობა დაეპატიმრებინა გრაფი ორნანო, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა გასტონ ორლეანელზე. გრაფ ორნანოს დაპატიმრება რამდენიმე ახალგაზრდა დიდებულის შურისძიების საბაბი შეიქმნა. შეთქმულები, ნადირობის გადადების მიზნით, უნდა მისულიყვნენ კარდინალის საცხოვრებელ სახლში ფონტენებლოში, ფლერიში. ყველა შეთქმული შეიარაღებული იყო. მათ განზრახული ჰქონდათ, რომ კარდინალის მამულში სადილობის დროს ჩხუბი აეტეხათ. ჰერცოგ დე შალეს ევალებოდა რიშელიეს დაჭრა, დანარჩენი შეთქმულნი კი კარდინალის მოკვლაში დაეხმარებოდნენ. დე შალემ შეთქმულების გეგმა კარდინალ რიშელიეს მოწინააღმდეგეს, ვალანსეს მმართველს, აშილ დ' ეტამპს (Achille d'Etampes) გაანდო. დ' ეტამპმა დახმარების მაგივრად შალეს ურჩია, რომ კარდინალთან წასულიყო და მისთვის შეთქმულების შესახებ შეეტყობინებინა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში კარდინალს საიდუმლოს თავად გაუმხელდა. დე შალე იძულებული შეიქნა რიშელიესთვის გაემხილა შეთქმულთა გეგმები და კარდინალს თხოვა შეთქმულთაგან არავინ დაესაჯა. კარდინალმა რიშელიემ მადლიერების ნიშნად დე შალეს სიტყვა მისცა, რომ არც ერთ შეთქმულს არ დასჯიდა. რიშელიემ ლუი XIII სთხოვა გულმოწყალე ყოფილიყო შეთქმულთა მიმართ, რომელთა მიზანი არა საფრანგეთისა და მეფის წინააღმდეგ გალაშქრება, არამედ მხოლოდ კარდინალის სიცოცხლის მოსპობა იყო. ამასთან კარდინალი მოითხოვდა, რომ კანონის მთელი სიმკაცრით დასჯილიყვნენ ისინი, ვინც შეთქმულებას სახელმწიფოს წინააღმდეგ მოაწყობდნენ. ამ გულმოწყალებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე.

კარდინალმა შეასრულა დე შალესთვის მიცემული პირობა -რიშელიეს სიცოცხლის ხელყოფის მცდელობისათვის არავინ დასჯილა. მიუხედავად ამისა, შეთქმულების სხვადასხვა წევრი მალევე დააპატიმრეს არა რიშელიეს წინააღმდეგ შეთქმულებისთვის, არამედ სახელმწიფოზე თავდასხმის მცდელობისათვის.

ჰერცოგი დე შალე მალე კვლავ მადამ დე შევრეზეს გავლენის ქვეშ მოექცა. იგი დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს. გრაფმა ორნანომ კი სიცოცხლე საპყრობილეში დაასრულა (Roca, 2013: 164-165).

ამრიგად, თვალსაჩინოა მსგავსება რიშელიეს ცხოვრების ზემოთ მოთხრობილ ეპიზოდსა და პ. კორნელის ,,ცინას'' სიუჟეტს შორის. კარდინალმა რიშელიემ გულმოწყალება გამოიჩინა და მიუტევა მათ, ვისაც მისი მოკვლა სურდა, ისევე როგორც იმპერატორმა ავგუსტუსმა მსგავს სიტუაციაში შეიწყალა შეთქმულნი. პ. კორნელმა კარგად იცოდა, როგორც შეთქმულების, ასევე რიშელიეს გულმოწყალების ამბავი. შეწყალებულთა შორის იყო პ. კორნელის ნაცნობი და მფარველი გრაფი ლონგევილიც, რომელიც მოგვიანებით ნორმანდიის გუბერნატორი გახდა. იმას, რომ პ. კორნელი პირადად იცნობდა გრაფ ლონგევილს, მოწმობს მიძღვნა, რომელიც დრამატურგმა თავის პიესა ,,კლიტანდრეს'' წაუმძღვარა, სადაც ნათქვამია, რომ მან გრაფს წაუკითხა პიესა, რომელიც სანახევროდ იყო დასრულებული. (Marty-Laveaux, 1862: 250). გრაფმა ორნანომ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქალბატონების შეთქმულებაში, 1620 წელს პრიზი გადასცა პ. კორნელს. დრამატურგი ასევე რუანის იეზუიტთა კოლეჟში შეხვდა მადამ დე შევრეზეს, 1618 წელს, როდესაც იგი თან ახლდა ქმარს, ლუი XII ფავორიტ შარლ ალბერ დე ლუინესს კოლეჟში პრიზების გადაცემის ცერემონიალზე. ასე რომ, პიერ კორნელი თავისი ეპოქის პოლიტიკური ცხოვრების საქმის კურსში იყო. დრამატურგი, რომლისთვისაც ნათელი იყო თუ რა დადებითი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა კარდინალის მოწყალების მაგალითს, ,,ცინაში'' ირიბად განადიდებს რიშელიეს გულმოწყალებას. თუმცა, თავად რიშელიეც ყოველთვის ხაზს უსვამდა საკუთარ გულმოწყალებას. იგი ერთმანეთს ადარებდა საკუთარ და რომაელ გმირთა საქციელს. თავის მემუარების XXIII, 114 თავში, რიშელიე აცხადებს, რომ თავად მან სთხოვა მეფეს შეეწყალებინა შეთქმულნი, რომელთაც მისი სიცოცხლის მოსპობა ჰქონდათ მიზნად. პ. კორნელმა იცოდა, რომ ისე არაფერი მოეწონებოდა კარდინალს, როგორც დელიკატური მინიშნება მის გულმოწყლებაზე. მსგავსება რიშელიეს საქციელსა და ავგუსტუსის გულმოწყალებას შორის იმდენად აშკარაა, რომ როგორც ჩანს, კორნელისთვის დაწვრილებით იყო ცნობილი რუანში 1639-1640 წლებში მომხდარი მოვლენები.

პ. კორნელმა ,,ცინას'' სიუჟეტი სენეკას მოწყალების ტრაქტატის IX თავიდან იმის გამო აირჩია, რომ იგი თითქმის სიმბოლურად განასახიერებდა მისი მშობლიურ ქალაქში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს და რიშელიეს ცხოვრების ზემოთმოყვანილ ეპიზოდს. ,,ცინაზე'' მუშაობისას პ. კორნელმა გულმოდგინედ დაამუშავა ანტიკური სიუჟეტი და დაამატა მის მიერ გამოგონებული ქალი პერსონაჟი, ემილია, რომელიც შეთქმულების ინიციატორი და სულისჩამდგმელია. ემილია ავგუსტუსის ყველაზე შეუპოვარი მეტოქეა. მიუხედავად იმისა, რომ პ. კორნელს ემილია თავისი პიესის მოტივაციის განსამტკიცებლად სჭირდებოდა, საინტერესოა, რამდენად ჰგავს მისი როლი ,,ცინაში'', მადამ დე შევრეზეს როლს -,,ქალთა შეთქმულებაში''. ემილია, მადამ დე შევრეზეს მსგავსად, თავის შეყვარებულს იყენებს იმპერატორ ავგუსტუსზე შურისსაძიებლად. საინტერესოა ასევე მსგავსება ჰერცოგ დე შალესა და ცინას, რიშელიესა და ავგუსტუსის პერსონაჟებს შორის. ჰერცოგი დე შალე სწორედ მადამ დე შევრეზეს სიყვარულის გამო დათანხმდა მონაწილეობა მიეღო შეთქმულებაში რიშელიეს წინააღმდეგ. ცინა, ჰერცოგ დე შალეს მსგავსად, ემილიას სიყვარულის გამო გახდა ავგუსტუსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მინაწილე. ბოლოს ავგუსტუსი ისევე პატიობს შეთქმულებს, როგორც რიშელიემ აპატია მათ, ვისაც მისი სიცოცხლის მოსპობა სურდა.

როგორც ზ. არჩვაძე აღნიშნავს- ,,ტრაგედია ,,ცინას'' რეალური პროტოტიპები არიან ფრანგი არისტოკრატები, ფრონდის მომავალი მოღვაწენი, რომელნიც უთვალავ შეთქმულებას აწყობდნენ რიშელიეს წინააღმდეგ. ამ შეთქმულებებში მონაწილეობდნენ თვით სამეფო ოჯახის წევრებიც კი, (მაგ. გასტონ ორლეანელი). ემილიას მხატვრული სახე გააზრებულია ტიპიური ფრანგი არისტოკრატი ქალების რეალურ სახეთა მოშველიებით,

ასეთები იყვნენ კონდეს პრინცესა, მადამ დე შევრეზე, მადმ დე როგანი და ბევრი სხვა. მოღალატე მაქსიმესაც ბევრი რეალური პროტოტიპი მოეძებნება ამ დროის საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში (მაგ. ჰერცოგი დე პიულორანსი და სხვა)'' (არჩვაძე, 1998: 11-12).

მართლაც, ,,ცინას'' რომაელი პერსონაჟები გარკვეულწილად XVII საუკუნის პერსონაჟები არიან. ემილია იდეალური რომაელი ქალია, რომლისთვისაც დამახასიათებელია XVII საუკუნის შეთქმულებაში მონაწილე ქალბატონის ნიშან-თვისებები -გაბედულება და შეუპოვრობა. ცინას, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვითაც და პიერ კორნელის ტრაგედიაშიც იმპერატორ ავგუსტუსის მეგობარი და პირადი მრჩეველია, იმპერატორის მიმართ პატივისცემა უფრო აქვს, ვიდრე პირადი ზიზღი, მაგრამ ემილიას სიყვარულის გამო იძულებულია შეთქმულება მოაწყოს მის წინააღმდეგ. იმპერატორი ავგუსტუსი თავისი გულმოწყალებით ისეთივე კეთილშობილებას ავლენს, როგორც კარდინალმა რიშელიემ გამოავლინა, როცა შეთქმულები შეიწყალა.

დასკვნა. პიერ კორნელის ტრაგედია ,,ცინას'' ისტორიულ-ტიპოლოგიური კავშირების შესწავლა საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ დრამატურგის მიერ ,,ცინას'' მთავარ თემად გულმოწყალების არჩევა უბრალო შემთხვევითობა არ ყოფილა. პ. კორნელმა განადიდა კარდინალ რიშელიეს გულმოწყალება, რომელმაც რუანელ დიდებულებს ქალაქში დაბრუნებისა და პარლამენტისა და სამოქალაქო ხელისუფლების აღდგენის ნება მისცა.

ამგვარად, ,,ცინას'' გენეზისის კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ,,ცინა'' არა მხოლოდ ისტორიული ინტერესისა და მწერლის აბსტრაქტული აზროვნების ნაყოფია, არამედ ,,ცინას'' გმირები დრამატურგის ეპოქის რეალობის სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი. ისინი ცხოვრობენ, ფიქრობენ, იბრძვიან და მოქმედებენ იმ პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ვითარების შესაბამისად, რაც XVII საუკუნის საფრანგეთისთვის იყო დამახასიათებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

არჩვაძე, ზ. (1998). *პიერ კორნელის დრამატურგია და ტრაგედია „ცინას“ ქართული თარგმანები.* ქუთაისი: ქუთაისის № 6 სტამბა.

Corneille, P. (1859). *Cinna ou la clémence d'Auguste avec des notes et des commentaires.* Paris: Jacques Le Coffre et CIE, Libraires.

Corneille, P. (1987). *Œuvres complètes.* Éd. G. Couton, 3 vol. Paris: Gallimard.

Corneille, P. (2005) *Cinna*. Paris: Hachette.

Floquet, A. (2012). *Histoire Du Parlement de Normandie.* Paris: Hachette.

Fournier, É. (2018). *Corneille à la butte Saint-Roch.* Paris: Hachette.

La Rochefoucauld, F. (2022). *Mmémoires.* Paris: Garnier.

Marty-Laveaux, Charles, J. (1862). *Œuvres de Pierre Corneille.* Paris: Hachette.

Mémoires Du Cardinal De Richelieu, Sur Le Régne De Louis XIII (1823). Paris: Faucult Libraire, Rue de Sorbonne N 9.

Pommeier, R. (1842). *Documents indits pour servir Histoire de Rouen et de la Normandie.* Rouen. Nicétas Periaux.

Roca, É. (2013). *Le règne de Richelieu (1617-1642) le grand siècle intime*. Paris: Hachette.

REFERENCES

archvadze, z. (1998). *p'ier k'ornelis dramat'urgia da t'ragedia „tsinas“ kartuli targmanebi [Pierre Corneille's dramaturgy and georgian translations of the tragedy "Cinna"].* Kutaisi: Kutaisi printing press N6.

Corneille, P. (1859). *Cinna ou la clémence d'Auguste avec des notes et des commentaires.* Paris: Jacques Le Coffre et CIE, Libraires.

Corneille, P. (1987). *Œuvres complètes.* Éd. G. Couton, 3 vol. Paris: Gallimard.

Corneille, P. (2005) *Cinna*. Paris: Hachette.

Floquet, A. (2012). *Histoire Du Parlement de Normandie.* Paris: Hachette.

Fournier, É. (2018). *Corneille à la butte Saint-Roch.* Paris: Hachette.

La Rochefoucauld, F. (2022). *Mmémoires.* Paris: Garnier.

Marty-Laveaux, Charles, J. (1862). *Œuvres de Pierre Corneille.* Paris: Hachette.

Mémoires Du Cardinal De Richelieu, Sur Le Régne De Louis XIII (1823). Paris: Faucult Libraire, Rue de Sorbonne N 9.

Pommeier, R. (1842). *Documents indits pour servir Histoire de Rouen et de la Normandie.* Rouen. Nicétas Periaux.

Roca, É. (2013). *Le règne de Richelieu (1617-1642) le grand siècle intime*. Paris: Hachette.